სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია
Proceedings of Sokhumi State University
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

გიორგი ლორია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.37

სასკოლო განათლების ისტორიული დისკურსი საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია საქართველოში, XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე სასკოლო განათლების ისტორიული დისკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიის კოლონიალური საგანმანათლებლო პოლიტიკის (პირველ რიგში რუსიფიკაციის) შედეგების დაძლევასა და გამოსწორებას ქართულ განათლებაში, ახალი, პროგრესული იდეების ძიებას როგორც ევროპულ, ასევე რუსულ საგანმანათლებლო შეხედულებებში და მათი გამოცდილების გაზიარებას ქართული ეროვნული სკოლის აღდგენა - ფორმირების პროცესში.

ეპოქის ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ვხვდებით დისკუსიას ევროპულ და რუსულ განათლებაში მიმდინარე პროცესებზე და სიახლეებზე, მაგალითად, სასკოლო დისკურსის უმნიშვნელოვანესი თემა იყო დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაში გაზიარებული პროგრესული პედაგოგიური შეხედულებანი, მათ შორის „ახალი სკოლის თეორია“, რომელიც „თავისუფალი აღზრდის პრინციპებს“ ემყარებოდა. აქტუალური კრიტიკის საგანი იყო რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო სკოლებში გაბატონებული „ინტელექტუალიზმის თეორია“ და „ფორმალური განათლების“ საკითხი და ა. შ.

ამ ისტორიული დისკურსის დროს შეიქმნა დიმიტრი უზნაძის „ექსპერიმენტული პედაგოგიკის თეორია“, რომელიც ხელს უწყობდა ბავშვის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას სასკოლო განათლებაში. მეცნიერი ცდილობდა ქართული საგანმანათლებლო სისტემის

[1] **გიორგი ლორია,** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

დივერსიფიკაციას და ფიქრობდა, რომ ეს არ იყო ერთადერთი თეორია, რომლითაც შეეძლო ქართულ სკოლას ეხელმძღვანელა.

საგანმანათლებლო თეორიებსა და სასწავლო მეთოდებზე გამოქვეყნებულ სადისკუსიო წერილებში იგრძნობა იმდროინდელი ევროპის და რუსეთის მოწინავე საგანმანათლებლო წრეებში არსებული შეხედულებების გავლენა, ამავე დროს შესამჩნევია დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ეროვნულ-სოციალურ ჭრილში ფოკუსირება. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ განმანათლებელთა კონცეპტუალური ხედვა ეროვნული ხასიათის სწავლის მეთოდების ჩამოყალიბებაზე, რომელიც გათვლილი იქნებოდა „ქართველი მოწაფის ფსიქიკურ და ფიზიკურ თვისებებზე“, ქართველთა ეროვნულ ხასიათსა და მენტალიტეტზე.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის დასაწყისი, საქართველო, ისტორიული დისკურსი, სასკოლო განათლება, ევროპული შეხედულებები, რუსიფიკაციის დაძლევა.

Giorgi Loria[2]
Sokhumi State University

Historical Discourse of School Education in Georgia at the Beginning of the 20th Century

Abstract. This scientific work studies the historical discourse of school education in Georgia at the beginning of the 20th century, which aimed to overcome and correct the consequences of the colonial educational policy of the Russian Empire (primarily Russification) in Georgian education, to search for new, progressive ideas in both European and Russian educational views, and to share this experience in the process of restoring and forming the Georgian national school.

On the pages of Georgian magazines and newspapers of this era, we find discussions on the processes and innovations taking place in the European and Russian educational systems. For example, the most important topic of school discourse was the progressive pedagogical views shared in the Western educational system, including the „New School Theory“, which was based on the „principles of free upbringing“. The subject of topical criticism was the „Theory of Intellectualism“ and the issue of „Formal Education“ prevailing in the educational schools of the Russian Empire, etc.

[2] **Giorgi Loria.** Doctoral student of the PhD program in Georgian History at Sokhumi State University.

During this historical discourse, Dimitri Uznadze's „Theory of Experimental Pedagogy“ was created, which promoted the consideration of the individual and age-related characteristics of the child in school education. The scientist tried to understand the Georgian educational system and thought that this was not the only theory that could guide the Georgian school.

In the discussion letters published on educational theories and teaching methods, the influence of the views existing in the advanced educational circles of Europe and Russia of that time is felt, at the same time, the focus of attitudes and values in the national-social context is noticeable. In this regard, the conceptual vision of one part of Georgian educators on the formation of national-character learning methods, which would take into account the „mental and physical qualities of the Georgian student“, the national character and mentality of Georgians, is particularly interesting.

Keywords: Early 20th Century, Georgia, Historical Discourse, School Education, European views, Overcoming the Policy of Russification, Restoration-formation of the National School.

შესავალი. საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია XIX- XX საუკუნეების მიჯნა, როდესაც სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობების გაძლიერებას თან ახლდა რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის კრიტიკა განათლების დარგში და ახალი პროგრესული საგანმანათლებლო იდეების ძიება. ამ დროს საზოგადოებრივ ასპარეზზე პროგრესულად მოაზროვნე ქართველთა მთელი პლეადა გამოვიდა. მათი უმეტესობა პეტერბურგის, მოსკოვის, ბერლინისა და პარიზის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები იყვნენ და საგანმანათლებლო სისტემაში სიახლეების დანერგვის, პროგრესული იდეების გავრცელებისა და ცხოვრების განახლების პროცესისთვის იბრძოდნენ. ეს ბრძოლა ისტორიული დისკურსის სახით შემორჩა 1900-1910 - იანი წლების ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მაშინდელ ქართველ განმანათლებელთა დისკურსი, ძირითადად, რამდენიმე დასავლური საგანმანათლებლო თეორიის განხილვის ფონზე მიმდინარეობდა, დისკურსში განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი დასავლურ და რუსულ განათლებაში გაბატონებული სხვადასხვა თეორიები: მათ შორის „ინტელექტუალიზმის თეორია“, „ფორმალური განათლებისა“ „ახალი სკოლის თეორია“ და ა. შ. აღნიშნულ თეორიებს, დაემატა დიმიტრი უზნაძის „ექსპერიმენტული პედაგოგიკის თეორია“, რომელიც ექსპერიმენტულად დასაბუთებულ პირველ ეროვნულ საგანმანათლებლო კონცეფციას წარმოადგენდა განათლების ისტორიაში და დღემდე ინარჩუნებს თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

ნაშრომში კომპარატივისტიკული მეთოდისა და კონტენტ ანალიზის საფუძველზე შესწავლილია საკვლევი საკითხი - 1900 - 1910-იანი წლების საქა-

რთველოში მიმდინარე სასკოლო განათლების ისტორიული დისკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგების დაძლევასა და გამოსწორებას ქართულ განათლებაში; ახალი, თანამედროვე იდეების ძიებას ევროპაში და მათ დამკვიდრებას ქართულ სასკოლო განათლებაში.

ჩვენი სამეცნიერო ჰიპოთეზით, მიუხედავად იმისა, რომ XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე ქართული საზოგადოებრივი აზრი ფოკუსირებული იყო სოციალ-დემოკრატიულ იდეებზე და მემარცხენე იდეოლოგიურ ნარატივზე, სასკოლო განვითარების შესახებ არსებული დისკურსი მთლიანად ორიენტირებული იყო ნაციონალურ კონცეპტებზე და ქართველი განმანათლებლები მოწოდებული იყვნენ პროგრესული დასავლური საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე აღდეგინათ და ჩამოეყალიბებინათ ახალი ეროვნული სკოლა.

დისკუსია. ქართულ-ჟურნალ გაზეთებში გამართულ სამეცნიერო-პედაგოგიურ დისკურსში ჩართული იყო ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დიდი ნაწილი, პოეტები, მწერლები, პედაგოგები, ეპოქის მოწინავე პედაგოგიური აზრის მატარებელი ადამიანები, რომლებიც ქართული სკოლის აღორძინებასა და განვითარებაზე ოცნებობდნენ. როგორც პრესის ფურცლებიდან ჩანს, ეს თემატიკა აქტუალური იყო სხვადასხვა იდეოლოგიური და პოლიტიკური მიმართულების ჟურნალ-გაზეთებისთვის. საუკუნის დასაწყისში გაზეთებს შორის ლიდერობდა ილია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრეების მიერ დაარსებული „ივერია,“[3] რომელიც 1906 წელს დაიხურა, მაგრამ სხვა გაზეთებმა გააგრძელეს სასკოლო თემატიკის გაშუქება. ამ მხრივ გაზეთებიდანგამოირჩეოდა: „ცნობის ფურცელი“[4], „დროება“[5] „კვალი,“[6] „შადრევა-

[3]„ივერია“ დაარსდა ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს როგორც ყოველკვირეული გაზეთი, 1879-1885 გამოდიოდა, როგორც ჟურნალი, 1886 – 1906 წლებში როგორც ყოველდღიური გაზეთი (ქსე, 1980: 94).

[4] „ცნობის ფურცელი“, ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა 1896 – 1906 წწ. წლებში, რედაქტორ - გამომცემლები იყვნენ ვალერიან გუნია (1896-1899), ალ. ჭყონია (1899 10/XII - 1900 4/XI) და ალ. ჯაბადარი (1901-1906).

[5] „დროება“ პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი 1866 - 1885 წლებში. დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი წერეთელი. გაზეთის რედაქცია იქცა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული კულტურის ერთ-ერთ ცენტრად. ცენზურისა და ხელისუფლების განკარგულებით 1885 წელს დაიხურა (ბოცვაძე, 2025); დროება აღდგა XX საუკუნის დასაწყისში და გამოდიოდა 1908-1910 წლებში სურათებიანი დამატებით ილია სვიმონის ძე აგლაძის რედაქტორობით (იმედაშვილი, 2018: 71).

[6] „კვალი“ დაარსდა 1893 წელს ანასტასია წერეთლის (გიორგი წერეთლის მეუღლე) ინიციატივით. თავიდან გამოდიოდა, როგორც ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი, რომელსაც ეროვნული ხასიათი ჰქონდა, მაგ-1900 წელს გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ, მთლიანად გადავიდა მარქ-

ნი“[7] და სხვები. ჟურნალებიდან აღსანიშნავია, „დილა“[8], „მწყემსი“,[9] „ჯეჯილი“[10], „მოგზაური“, „ერი“ და მრავალი სხვა. მიუხედავად ქართული გამოცემების სიმრავლისა, სასკოლო განათლების შესახებ ისტორიულ დისკურსში საკითხისადმი მრავალფეროვანი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა ჟურნალი „განათლება,“ რომელიც ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ლუარსაბ ბოცვაძემ დააარსა.

ქართული სასკოლო განათლების აღდგენისა და განახლების შესახებ ისტორიული დისკურსი XX საუკუნეში არ დაწყებულა, ის სათავეს XIX საუკუნის იმ ტრაგიკული ისტორიიდან იწყებს, როდესაც რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებულ იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და შესაბამისად, მასთან არსებული სასულიერო სემინარიები, საეკლესიო და საკვირაო სკოლები.[11] ამდენად, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში იმპერიის მიერ დაარსებული სასწავლებლები რუსულენოვანი იყო და სწავლება ქართულ ენაზე არ მიმდინარეობდა. ამ დროს, ქართველთა დიდი ნაწილი გაუქმებულ სამეფო-სამთავროებს მისტიროდა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის მო-

---

სისტულ მიმართულებაზე და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებაში. აიკრძალა 1904 წელს (კარიჭაშვილი 1929: 146-147).

[7] „შადრევანი“ იყო ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი, გამოდიოდა 1914-1915 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი: მ. მახარაძე; ნამდვილი რედაქტორი - პავლე დავით საყვარელიძე, გამომცემელი სტამბა „სორაპანი“ (საქართველოს გაზეთები, 2025).

[8] ჟურნალი „დილა“, დაარსდა 1904 წელს ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მწერლის მარიამ დემურიას თაოსნობით, ნინო ქობულაშვილის, აკაკი წერეთლის და სხვა მოღვაწეთა მხარდაჭერით. ჟურნალს თავიდან „ნაკადული“ დაარქვეს, 1928 წლიდან ჟურნალს სახელი შეეცვალა და „ოქტომბრელი“, ხოლო 1947 წლის სექტემბრიდან მაშინდელი რედაქტორის, ქართველი პოეტისა და მოღვაწის, რევაზ მარგიანის ინიციატივით „დილა“ეწოდა (ქსე, 1978: 551).

[9] ჟურნალი „მწყემსი“ იყო ქართული სასულიერო ჟურნალი, რომელიც 1883–1910 წლებში თვეში 2-ჯერ გამოდიოდა ყვირილაში (თანამედროვე ზესტაფონი), სასულიერო თემატიკის გარდა ჟურნალი დიდ ადგილს უთმობდა ქართული სკოლის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებს. 1885-1905 წლებში რუსულ ენაზე გამოდიოდა „მწყემსის“ დამატება „პასტირი“. ჟურნალის რედაქტორ - გამომცემელი იყო ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, დეკანოზი დავითი ღამბაშიძე (ქსე, 1984: 267). 1911 წელს დეკანოზი დავითი გარდაიცვალა და ჟურნალის გამოცემაც შეწყდა. 1911 წლის ჩათვლით სულ 27 ნომერი გამოქვეყნდა (კარიჭაშვილი, 1929: 154-155).

[10] საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“ დაარსდა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიერ 1890 წელს, ჟურნალთან თანამშრომლობდენ ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, შიო მღვიმელი, ეკატერინე გაბაშვილი, მარიამ დემურია და სხვები (კარიჭაშვილი, 1929: 152-163).

[11] აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიაში სასულიერო და საერო საგანმანათლებლო სისტემის დიფერენციაციას, სწორედ ამ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი, გაცილებით ადრე დასავლეთ ევროპაში.

ლოდინში იყო, რასაც მოწმობს მუდმივი აჯანყებები კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და იმპერიის ჩინოვნიკებისადმი დაუმორჩილებლობა. XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიამ დაასრულა ქართული სამეფო-სამთავროების სრული ანექსია და მიერთება, მუდმივი ბრძოლისა და აჯანყებების პოლიტიკამ არ გაამართლა, შესაბამისად, სისხლისგან დაცლილმა ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა და მას მშვიდობიანი განვითარების პოლიტიკა დაუპირისპირა.

ქართველთა ახალი სტრატეგია კონსტრუქციულად განხვავებულ პრინციპებს, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ შემოთავაზებულ კულტურულ - საგანმანათლებლო კონცეფციას ეყრდნობოდა. ვფიქრობთ, ეს კონცეფცია ეტაპობრივად, თანდათანობით ჩამოყალიბდა და მოგვიანებით, უკვე განხორციელებული, პრაქტიკული საქმეების ფონზე მიიღო კონცეპტუალური სახე. 60 - იანი წლებიდან დაწყებული ქართული საგანმანათლებლო სისტემის აღდგენისა და განვითარების შესახებ ქართულ საზოგადოებას ფიქრი არ შეუწყვეტია. ამ ფიქრს ახლდა პრაქტიკული საქმე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება“ და ქართული სკოლების ქსელის ჩამოყალიბება როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ, კომპაქტურად მცხოვრებ ქართველთა დასახლებებში. აღდგა ქართული თეატრი, დაარსდა ახალი ქართულენოვანი გაზეთები და ჟურნალები, რომელშიც მუდმივად მიმდინარეობდა მსჯელობა და დისკუსია ქართული სკოლის მოწყობის, ქართული ენის სწავლების, ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნის, მათი შინაარსისა და სწავლების მეთოდების შესახებ. სწორედ ამ დროს იქმნება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, ქვეყნდება საბავშვო მოთხრობები და ლექსები, ქართული თეატრისთვის იწერება ახალ-ახალი პიესები, საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში დაარსდა თეატრალური დასი, ზოგან სამოყვარულო დასები, ქართულ ენაზე დაიდგა სპექტაკლები (მათ შორის გამორჩეულია დავით ერისთავის „სამშობლო“) და ა. შ. მიუხედავად იმპერიის მკაცრი პოლიტიკისა, ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა მანამდე განდევნილი ქართული ენა აღადგინეს მწერლობაში, განათლებაში, ჟურნალ-გაზეთებსა და სცენაზე. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის ჩინოვნიკებისთვის ქართული ენა არ იყო სახელმწიფო საკანცელარიო ენა, ამიერიდან ქართული სიტყვა ისმოდა ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა ქართულ საზოგადოებრივ აზრს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ბრძოლა იმპერიის წინააღმდეგ, ბრძოლა ეროვნული ცნობიერების, კულტურულ - ისტორიული მენტალობის გადარჩენისთვის. ეს იყო უიარაღო ერის თავგანწირვა კბილებამდე შეიარაღებული იმპერიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში იმ-

პერიას ჰყავდა დასაყრდენი უგუნურ ქართველთა შორის, რომელმაც შეიწირა დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, იოსებ ლაღიაშვილი და მრავალი სხვა. თუ გულდასმით გავეცნობით და გავაანალიზებთ XIX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგდროინდელ ქართულ პრესას, ეს იყო უკომპრომისო ბრძოლა, რომელსაც იმ ისტორიულ დროში მცხოვრებ ქართველთა ერთი ნაწილი სამწუხაროდ, ვერ ხედავდა.

აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ბაქრაძე და სხვები იწყებენ სასკოლო განათლების ისტორიულ დისკურსს. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ქართული საგანმანათლებლო სისტემის ეროვნულ ყაიდაზე მოწყობის, სწავლების სხვადასხვა თეორიების განხილვისა და მსჯელობის ტრადიციას, რომელსაც მუდმივად ეროვნული ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძეს ბავშვის აღზრდის პროცესში უმნიშვნელოვანეს საკითხად მიაჩნდა ეროვნული გარემოცვა, მშობლიური კულტურა, მიწა-წყალი, ხალხი, სამშობლოს ისტორია, ერის „განსახვავებული თვისება და განსაკუთრებული ხასიათი, მისი სულიერი ცხოვრების ფესვები, ამიტომ ილიას აზრით, ბავშვის პირველი ენა, რომელსაც ის ადვილად სწავლობს და რომელზედაც უადვილდება სწორი აზ-როვნება არის სამშობლო ენა, ანუ დედა ენა - პირველად გონების გახსნა სწორედ დედა ენაზე ხდება. „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხევლად ვთხოულობთ დედაენისთვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში - ეგ მარტო დედა ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია (ჭავჭავაძე, 1928:218: შდრ. თავზიშვილი, 1977:212).

ილია დაუპირისპირდა 1878 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად დანიშნულ კირილე პეტრეს ძე იანოვსკის, რომელმაც ჯერ 1881 წელს შეიმუშავა და გამოაქვეყნა ცირკულარი, რომლის მიხედვით, ყველა ტიპის სკოლაში, დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება, მშობლიური ენის სწავლება კი ქართულ სკოლებში გამოცხადებულ იქნა არასავალდებულოდ (ბასილაძე, 2011: 123). 1885 წელს იანოვსკიმ გამოაქვეყნა მომდევნო ცირკულარი, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ენის საერო სკოლებიდან სრულიად განდევნას. „საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულისყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა... საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი..“ (ჭავჭავაძე, 1938: 218).

ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს სასკოლო განათლების თეორიულ საფუძვლებზე ფართო მსჯელობა ჰქონდა გაშლილი „ივერიის“ ფურც-

ლებზე და განიხილავდა მაშინდელი ევროპის საგანმანთლებლო თეორიებს. ამ დისკუსიაში ჩართული იყო იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც მშობლიური ენის შეზღუდვა დიდ ეროვნულ უბედურებად მიაჩნდა „ბავშვი დაბადებიდგანვე მოკლებული დედა ენის გამაცხოველებელ გავლენას... ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნებას და უხეირო ჭკუის პატრონი გამოვა....ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭსა, ვერ მიეწევა, ვერ ეღირსება ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას....“ (გოგებაშვილი, 1954: 208-209; ბოცვაძე, 1991: 120).

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს განათლების სისტემაში არსებულ კოლონიურ პოლიტიკას „ივერიასთან“ ერთად აქტიურად ებრძოდა გაზეთი „დროება“, რომელიც იმავე საუკუნის 80-იან წლებში გამწვავებულ იმპერიულ რეაქციას შეეწირა კიდეც და 1886 წელს დაიხურა. „დროების“, როგორც პროგრესულ-დემოკრატიული გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა პუბლიკაციები სწავლა-აღზრდის საკითხებზე (ქინქლაძე, 1963). თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის ქართული პრესის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემა სწორედ განათლება, განსაკუთრებით სასკოლო განათლება იყო (ქინქლაძე, 1966).

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ევროპისა და რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში რევოლუციური ძვრები ხდება, საფუძველი ეყრება ახალ იდეოლოგიებს და იმავე საუკუნის მიწურულს ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე სასკოლო განათლების კონცეპტი გადაფარა სოციალ - პოლიტიკურმა თემატიკამ. მსგავსი ვითარება გვაქვს XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც საზოგადოებრივ არენაზე გააქტიურდა სოციალ-დემოკრატიული იდეები და ნაციონალურმა კონცეპტმა ნაწილობრივ უკან დაიხია. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისის ქართული ჟურნალ - გაზეთების ფურცლებზე გაჩაღებული ისტორიული დისკურსი მკვეთრად ეროვნულ ხასიათს ატარებდა და ილიას და იაკობ გოგებაშვილის გზას აგრძელებდა, მაგრამ დისკურსი გააფართოვა ევროპული სამეცნიერო პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური იდეების გავრცელებამ ქართულ საზოგადოებრივ აზრში. გარდა ამისა, გამოჩნდა ახალი თეორიული მიმდინარეობანი, რომლებიც მართალია ეროვნულ დონეზე შემუშავდა, მაგრამ გავრცელდა რუსეთის იმპერიისა და ევროპის საგანმანათლებლო წრეებში. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური სამეცნიერო მემკვიდრეობა.

საგულისხმოა, რომ ამ ეპოქის სასკოლო განათლების დისკურსში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ახლად ჩამოყალიბებული, სხვადასხვა იდეოლოგიის პარტიები და საზოგადოებრივი გაერთიანებები მათ შორის ილიას და იაკობ გოგებაშვილის გზის გამგრძელებლები. საზოგადოებრივი გაერთიანებები-

დან აღსანიშნავია 1908 წელს ანასტასია თუმანიშვილი - წერეთლის მიერ დაფუძნებული ქალთა ახალი საზოგადოება „განათლება“, რომელიც მეცენატთა მფარველობით ფუნქციონირებდა და ქალთა განათლების ხელშეწყობით იყო დაინტერესებული.

სასკოლო განათლების დისკურსში მაშინდელი ქართული პოლიტიკური წრეების ჩართულობის კარგი მაგალითია ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის პეტრე სურგულაძის ერთი ადრეული წერილი „ენა და ერი“ (სურგულაძე, 1904: 534), რომელიც „საქართველოს კალენდარში“[12] გამოქვეყნდა. პეტრე სურგულაძე თავიდან სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობდა, შემდეგ სოციალ-ფედერალისტების პოზიციებს იზიარებდა, 1917 წლიდან იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. მისი წერილი „ენა და ერი“, მიუთითებს, რომ სასკოლო განათლების დისკურსში არამარტო განმანათლებლები, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ფენები, მათ შორის სხვადასხვა იდეოლოგიისა და პოლიტიკური გემოვნების ადამიანები იყვნენ ჩართულნი.

პეტრე სურგულაძის წერილი „ენა და ერი“, რამდენიმე ნაწილისგან შედგება: 1. ენის მეცნიერება და ევოლუციონური თეორია, 2. ბუნებრივი ენა, 3. ხმა დაყოფილი ენა, 4. ენათა კლასიფიკაცია, 5. ენის კულტურული მნიშვნელობა, 6. ენა ოჯახში, 7. ენა სკოლაში, 8. ენა მწერლობაში (სურგულაძე, 1904: 534-562). შინაარსის მიხედვით, წერილი სამეცნიერო ხასიათის ერთ-ერთი პირველი ნაშრომია, რომელშიც გაზიარებულია ენის შესახებ არსებული ევროპული სამეცნიერო ცოდნა და სასკოლო საგანმანათლებლო გამოცდილება, გარდა ამისა, ავტორი საკუთარ მოსაზრებებსაც გვთავაზობს. ცალკე ქვეთავში „ენა სკოლაში“ ავტორი არამარტო მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობაზე საუბრობს, არამედ განიხილავს სკოლის სრული გაეროვნულების საკითხს და ასკვნის, რომ „სკოლა ეროვნულ ნიადაგზე უნდა იყოს დამყარებული“ (სურგულაძე, 1904: 553). ავტორი კარგად იცნობს ცნობილი ირლანდიელი[13] მეცნიერისა და განმანთლებლის ჯონ ტინდალის[14], გერმანელი ლინგ-

---

[12] საქართველოს კალენდარი - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა. გამოიცა რამდენიმე ნომერი, რომელსაც ვალერიან გუნია, ფილიპე გოგოჩაიშვილი და სხვები ხელმძღვანელობდნენ.

[13] პეტრე სურგილაძე ჯონ ტინდალს მოიხსენიებს როგორც ინგლისელ მეცნიერს.

[14] ჯონ ტინდალი (1820 - 1893), ირლანდიელი ფიზიკოსი, რომლის სამეცნიერო პოპულარობა 1850-იან წლებში დიამაგნეტიზმის შესწავლით გახდა ცნობილი. მოგვიანებით, 1859 წელს მან აღმოჩენები გააკეთა ინფრაწითელი გამოსხივებისა და ჰაერის ფიზიკური თვისებების სფეროში, რითაც დაამტკიცა კავშირი ატმოსფერულ CO_2-სა და იმ ფენომენს შორის, რომელიც დღეს სათბურის ეფექტის სახელითაა ცნობილი. გატაცებული იყო ალპინიზმით და თითქმის ყოველ წელს მონაწილეობდა ალპინის-

ვისტის ფრანც ბოპის[15] (ავტორი მას რატომღაც მოპპის უწოდებს) ჩეხი მოაზროვნისა და პედაგოგის იან ამოს კომენსკის, რუსი პედაგოგის კონსტანტინე უშინსკის და სხვა უცხოელების შეხედულებებს განათლების სხვადასხვა საკითხებზე. საჭიროების შემთხვევაში იმოწმებს ინგლისელ მეცნიერს ჩარლზ დარვინს[16] გერმანელ ისტორიკოსს ფრიდრიხ შლოსსერს,[17] გერმანელ ფილოსოფოსს ჰეგელს და სხვებს.

ტთა ექსპედიციებში. სწორედ აქ მიაგნო მან თავისი მთავარი მეცნიერული მიღწევების გასაღებს. 1863 წელს ტინდალმა გამოსცა ცნობილი ნაშრომი „სითბო, როგორც მოძრაობის რეჟიმი“. მოგვიანებით, ერთ-ერთმა ისტორიკოსმა მას „მოლეკულების რიტორიკოსი“ უწოდა. გარდა მეცნიერებისა, ჯონ ტინდალი იყო დიდი განმანათლებელი და მასწავლებელი, რომელიც მეცნიერებას ქადაგებდა, ჰქონდა საჯარო ლექციების მთელი ციკლი სინათლის ბუნების შესახებ, მათ შორის 1872 წელს შეერთებულ შტატებში განახორციელა წარმატებული ლექციების ტურნე. „როდესაც ის ლექციებს კითხულობს სამეფო ინსტიტუტში, დარბაზი სავსეა“, წერდნენ მაშინდელი ჟურნალისტები. 1884 წელს ტინდალმა მასწავლებლის პროფესია ასე შეაფასა: „მე არ ვიცი უფრო მაღალი, კეთილშობილური და უფრო კურთხეული მოწოდება“. მისი ყველაზე ფართოდ აღიარებული და გაყიდვადი სახელმძღვანელო იყო 550 გვერდიანი წიგნი „სითბო: მოძრაობის რეჟიმი“ (1863), რომელიც მინიმუმ 50 წლის განმავლობაში წარმატებით იბეჭდებოდა და დღესაც იბეჭდება. ტინდალის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა „სითბო“ (1863), „ბგერა“ (1867) და „სინათლე“ (1873), რომლებიც წარმოადგენდა ექსპერიმენტული ფიზიკის თანამედროვე მიღ-წევებს იმ დროისთვის, როდესაც ისინი დაიწერა (Chisholm, 1911).

[15] ფრანც ბოპი (1791-1867) გერმანელი ენათმეცნიერი, ცნობილია, როგორც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, მისი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი იყო 1816 წელს მაინის ფრანკფურტში გამოქვეყნებული წიგნი „სანსკრიტის უღლების სისტემის შესახებ ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ და გერმანულ ენებთან შედარებით,“ ფაქტობრივად, ამ ნაშრომმა მას დიდი წარმატება მოუტანა. 1827 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „სანსკრიტული ენის დეტალური სისტემა“, შეადგინა სანსკრიტული და ლათინური ტერმინების ლექსიკონი (1830), მისი მთავარი საქმიანობა იყო შედარებითი გრამატიკის შემუშავება, რომელიც ექვს ნაწილად გამოქვეყნდა ბერლინში, 1833, 1835, 1842, 1847, 1849, 1852 წლებში. 1835 წელს გამოსცა ნაშრომი „სანსკრიტის, ზენდის, ბერძნულის, ლათინურის, ლიტვური, გოთური და გერმანული ენის შედარებითი გრამატიკა“ (Baynes, T. S., ed. 1878: 49–50). ქართულ და კავკასიურ ენებთან დაკავშირებით საინტერესოა ფრანც ბოპის ნაშრომი „ინდოევროპული ენების ოჯახის კავკასიელი წევრები“, რომელიც 1847 წელს გამოქვეყნდა. მასში ავტორი შეეცადა ინდოევროპულ ენებთან ქართველური ენების ნათესაობის დადგენას, რაც მცდარი შეხედულება აღმოჩნდა.

[16] ჩარლზ დარვინი (1809-1882) ინგლისელი მეცნიერი, ბუნებისმეტყველი და მოგზაური, „ევოლუციური თეორიის“ ავტორი. საქართველოში მას XIX საუკუნეშიც კარგად იცნობდნენ, პირველად, 1868 წელს, გიორგი წერეთლის მიერ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა წერილი, ამის შემდეგ ხშირად იბეჭდებოდა სტატიები „ივერიაში“ და სხვა ქართულ გამოცემებში, 1896 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნეს ე. ფერიერის წიგნი „დარვინიზმი", რომელიც მეორედ 1912 წელს გამოიცა (ჯოხაძე, 1957).

[17] ფრიდრიხ კრისტოფ შლოსერი (1776-1861), ისტორიკოსი, ფეიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი, მისი ნაშრომები ყველაზე პოპულარული ისტორიული წიგნე-

გარდა ენის შესახებ მაშინდელ დასავლურ მეცნიერებაში არსებული შეხედულებების გაანალიზებისა, პეტრე სურგულაძის წერილში გახმოვანებულია მაშინდელი მოწინავე ქართული საზოგადოებრივი იდეა „ყოველი პიროვნების ცოდნა მისი ეროვნული ენის ფარგალში უნდა ეტეოდეს. ამისთვის აუცილებლად საჭიროა მეცნიერების ყველა დარგიდან იბეჭდებოდეს ეროვნულ ენაზე წიგნები. რა ვუყოთ, რომ პირველად ბევრი მკითხველი არ გვეყოლება. თუ არ ვცდით, ყოველთვის ამ მდგომარეობაში ვიქნებით. ..მეცნიერულად ენის გამდიდრება ხალხს შესძენს ცოდნას და მასთან ერთად „ნასწავლთა“ გონებრივ გაორებასაც ბოლოს მოუღებს (სურგულაძე, 1904: 562). პეტრე სურგულაძის ამ სტატიას მაღალი შეფასება მისცა გაზეთ „კვალის“ მიმომხილველმა, რომლის აზრით, „საქართველოს კალენდრის 1904 წლის ნომერში დაბეჭდილ წერილებს შორის სასიამოვნოდ გამოირჩევა „ენა და ერი“, რომელიც სერიოზული შრომაა და კარგადაც აყენებს საკითხს (კვალი, 1904). როგორც ჩანს, ასეთი შეფასებით გამხნევებული პ. სურგულაძე უფრო ჩაღრმავებია თემას, სათანადო დამატებები და შესწორებები შეუტანია ხსენებულ ნაშრომში და შეცვლილი სათაურით - „ეროვნული ენა“, იმავე წელს, ცალკე ბროშურის სახით მიუწოდებია ფართო მკითხველისათვის, წერს ისტორიკოსი გელა საითიძე (საითიძე, 2009: 19).

ნაშრომის შესავალში პ. სურგულაძე ყურადღებას ამახვილებს სამშობლო ენის მნიშვნელობის გარკვევაზე. მან კარგად იცოდა, რომ ეს მეტად რთული საქმე იყო და გადამწყვეტი სიტყვის თქმის პრეტენზიასაც არ აცხადებდა.მაგრამ გულწრფელად აღნიშნავდა: რამდენადაც ღონე შეგვწევს, პასუხს გავცემთ ისეთ კითხვებზე, როგორებიცაა: რა მნიშვნელობა აქვს ენას, ერის კულტურულ ცხოვრებაში? როგორ უნდა ვუყუროთ სამშობლო ენას? რა ზომებია საჭირო მის დასაცავად და გასაძლიერებლად? (სურგულაძე, 1905_1: 3-4).

პეტრე სურგულაძე, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ქართველი, იზიარებდა მოსაზრებას, რომ მშობლიური ენა ყველა ბავშვს, პირველ ყოვლისა, ოჯახში უნდა შეესწავლა; რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა პატარისთვის ორი ენის ერთდროულად სწავლება, ვინაიდან ეს გამოიწვევდა პიროვნების გონებრივ დაძაბუნებას და მისი შემოქმედებითი ძალების შესუ-

---

ბი იყო გერმანიაში ლეოპოლდ ფონ რანკეს აღზევებამდე და მის მიერ სამეცნიერო სტანდარტების მაღალი მოთხოვნების დამკვიდრებამდე. შლოსერის მთავარი ნაშრომია „მსოფლიო ისტორია გერმანელი ხალხისთვის“, მე-18 ტომი (1854–56წწ); „მსოფლიო ისტორია გერმანელი ხალხისთვის“), რომელსაც ამჟამად მკაცრად აკრიტიკებენ დიდაქტიკური და მორალისტური ტონის გამო, მაგრამ მის დროს საკმაოდ პოპულარული იყო. შლოსერის საუკეთესო მონოგრაფიად ითვლება 1812 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ხატმებრძოლი იმპერატორების ისტორია“, რომელიც ბიზანტიის ისტორიის ერთ-ერთ პირველ კვლევად ითვლება (Martirano,1997: 211–229; Friedl, 1992: 639).

სტებას; ვინც ბავშვს ორ ენაზე ატიტინებს, ის დედის ძუძუსთან ერთად შეასისხლხორცებინებს მას გონებრივ სიჩლუნგეს და ა.შ. მისი აზრით, არათუ სკოლამდელ, არამედ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებშიც სწავლების საფუძველი მხოლოდ მშობლიური ენა უნდა ყოფილიყო (სურგულაძე, 1905$_1$: შდრ საითიძე, 2009: 21).

პეტრე სურგულაძის ინტერესი სასკოლო განათლების მიმართ ამით არ ამოწურულა, იმავე 1905 წელს გამოქვეყნდა მისი 46 გვერდიანი ბროშურა „დაწყებითი განათლება“, ავტორს მიაჩნია, რომ აღზრდა სოციალური საკითხია და ის მჭიდროს არის დაკავშირებული საზოგადოებრივ განვითარებასთან. აქედან გამომდინარე, თავის ნაშრომს საზოგადოების განვითარების ადრეული ეტაპიდან იწყებს, მკითხველს მოუთხრობს ათენის დემოკრატიაზე, იქ არსებულ ფილოსოფიურ სკოლებზე, ქრისტიანობის გავცელებაზე, მწიგნობრობის დასაწყისზე და წერა-კითხვის ცოდნის აუცილებლობაზე. ავტორი კარგად იცნობდა მსოფლიო ისტორიულ მოვლენებს, რომელთა განხილვის ფონზე ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი ეპოქის მკითხველი საყოველთაო განათლების აუცილებლობაში. მისი აზრით, საზოგადოება განვითარდა და მის „ზრუნვას თანდათან მიდრეკილება ემჩნევა - განათლება საყოველთაო კუთვნილებად, ყველასთვის ხელმისაწვდომად გახადონ (სურგულაძე, 1905$_2$: 9). პ. სურგულაძე კარგად იცნობს ევროპულ საგანმანათლებლო შეხედულებებს, მოჰყავს და იმოწმებს მათ თეორიულ დებულებებს და იზიარებს პრაქტიკულ გამოცდილებას, განიხილავს, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის საუნივერსიტეტო და სასკოლო ცხოვრებას და ასკვნის „დაწყებითი განათლება უნდა იყოს ეროვნულ ნიადაგზე“. ავტორი აღიარებს პედაგოგიურ პრინციპს, რომელიც გონიერ სწავლებას და გონიერ აღზრდას ეფუძნება „გონიერი აღზრდა, თუ მას საფუძვლად არ უდევს სამშობლო ენა და სამშობლო კულტურა. ...სამშობლო ენა იმდენად შესისხლხორცებულია ადამიანის გონებრივ არსებასთან, რომ მისი უარყოფა ადამიანის გონების განადგურებაა, მისი დაბეჩავებაა. ეს კარგად ესმის ყოველს ცოტაოდნად განვითარებულ ხალხს. ამიტომ სკოლა ნაციონალურია ყოველ ქვეყანაში (სურგულაძე, 1905$_2$: 45).

1908 წელს ახლადდაარსებული ჟურნალ „განათლების“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა იაკობ გოგებაშვილის მოწაფის, ცნობილი ქართველი განმანათლებლის ლუარსაბ ბოცვაძის წერილი „დედა ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა“ (ბოცვაძე 1908: 57-80), სტატიას წინ წამძღვარებული ჰქონდა გერმანელი სწავლულისა და ლინგვისტის რუდოლფ ჰილდებრანდტის[18] სიტყვები:

[18] რუდოლფ ჰილდებრანდტი (1824—1894) - გერმანელი სწავლული, ფილოლოგი, ლინგვისტი და სახალხო პედაგოგი. დაიბადა ლაიფციგში ერთ-ერთი გერმანული შრიფტის ამწყობის, ჰაინრიხ ჰილდებრანდის ოჯახში. სწავლობდა ლაიფციგის წმ თომას სასწავლებელში, შემდეგ ლაიფციგის უნივერსიტეტში, სადაც ჯერ თეოლო-

„არც ერთს საგანს, რასაც სკოლებში ასწავლიან, არ აქვს იმაზე მეტი მნიშვნელობა, როგორც სამშობლო ენას“. საგულისხმოა, რომ გერმანელი ფილოლოგისთვის ენა, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნება იყო, რითაც თანა-მედროვე გერმანელი თავისი აზროვნებითა და გრძნობებით ხალხს უკავშირდებოდა. ენის სწავლება ჰილდებრანდტისთვის არსებითად გონებრივი ვა-რჯიშია, ასევე ენა აზრების ფორმირების ხელოვნებაა და სიტყვა მისთვის კონკრეტული აზრის კონცენტრაციაა, ან კიდევ უკეთესი, ვიზუალური შინაარსი. ჰილდებრანდტის ბიოგრაფების აზრით, მისი ლინგვისტური კვლევა, მთლიანად არსებითი სახელების ფილოლოგიაა და სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალი ისტორიაა, რომელიც ეროვნულ გამოცდილებას, ისტორიულ შთაბეჭდილებებსა და ინდივიდუალურ პერსპექტივებს აღწერს. მკვლევარი ამ ნარატივს ყველა არსებული ინსტრუმენტით იკვლევდა. მისი აზრით, გერმანული სიტყვის ისტორიის შინაარსიდან გამომდინარეობს ეროვნული გრძნობა და ეროვნული სულის ისტორია. ამიტომ, ჰილდებრანდტს „გონების ფილოლოგს“ უწოდებდნენ. გერმანული ენის ფუნდამენტური შეხედულების ინტერესებიდან გამომდინარე, ჰილდებრანდტი სიტყვის მარგალიტებს ეძებდა ყველგან, განსაკუთრებით ხალხში, ბავშვთა ლექსებსა და გოეთეს რითმებში, მითოლოგიური ან ისტორიული ფონის ბავშვთა სიმღერებსა და ჯადოსნურ შელოცვებში. ჰილდებრანდტს სიტყვა გერმანული ეროვნული გამოხატვის ხელოვნებად მიაჩნდა[19] (Meyer, 1903: 887; Deutsche Biographie (1884)). ბუნებ-

---

გიას, ხოლო შემდეგ კლასიკურ და გერმანულ ფილოლოგიას დაეუფლა. მუშაობდა ცნობილ გერმანულ გაზეთში „Deutsche Allgemeine Zeitung“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მისი სამეცნიერო იდეების პოპულარიზაციაში, როგორც ევროპაში, ასევე რუსეთსა და საქართველოში. 1869 წლიდან იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის ახალი გერმანული ენისა და ლიტერატურის პროფესორი. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია 1854–1960 წლებში, მიუნხენში გამოქვეყნებული „გერმანული ლექსიკონი“, ასევე 1879 წელს ლაიფციგში გამოქვეყნებული „გერმანული ენის სწავლებისა და ზოგადად გერმანული განათლებისა და მომზადების შესახებ სკოლებში“, რომელშიც აკრიტიკებდა გერმანული ენის სწავლების მდგომარეობას სკოლებში. 1890 წელს ლაიფციგში გამოქვეყნდა მისი „ესეებისა და ლექციების კრებული გერმანულ ფილოლოგიასა და გერმანულ განათლებაზე“. მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, ლაიფციგში 1900 წელს, ჰილდებრანდტის კიდევ ერთი, მანამდე უცნობი ნაშრომი გამოქვეყნდა „ვალტერ ფონ დერ ვოგელვაიდეს შესახებ.“ ჰილდებრანდტი მეგობრობდა ავსტრიელ სახალხო პოეტთან ფრანც მიხაელ ფელდერთან. ჰილდებრანდტისთვის ენა, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებაა (Goebel, 1894: 171-175; Elschenbroich, 1972: 124-126).

[19] გთავაზობთ, რუდოლფ ჰილდებრანდტის შრომებს მშობლიური ენის სკოლაში სწავლების აუცილებლობის შესახებ: „გერმანული ენის სწავლების შესახებ სკოლებში და გერმანული აღზრდისა და განათლების შესახებ ზოგადად“, ლაიფციგი 1867, მე-4 გამოცემა 1890; „სოლტაუს ისტორიული ხალხური სიმღერები, მეორე ასეული“, ლაიფციგი 1856; „ესეებისა და ლექციების კრებული გერმანული ფილოლოგიისა და გერმანული განათლების შესახებ“, ლაიფციგი 1890; „კვირა დღის ფილოსოფოსის დღიური“, „გრენცბოტენის“ ესეების კრებული, ლაიფციგი 1896; „გერმანული განათ-

რივია, გერმანელი ენათმეცნიერის ასეთმა იდეებმა გავრცელება ჰპოვა იმპერიის მარწუხებში მოქცეულ საქართველოში და გასაკვირი არაა, რომ ლუარსაბ ბოცვაძე, სწორედ მისი სიტყვებით იწყებს სტატიას, რომელიც იმავე იდეოლოგიური კონცეპტითაა დატვირთული.

რუდოლფ ჰილდებრანდტის მსგავსს შინაარსობრივ კონცეპტს ავითარებს პეტრე სურგულაძე ჩვენს მიერ ზემოთხსენებულ ნაშრომში „ეროვნული ენა“ და აცხადებს, რომ „ენა არის ადამიანთა შინაგანი ფსიქოლოგური მდგომარეობის გარეგანი ნიშნებით გამოხატვა“,რომ „ენა არის ის კულტურული ძაფი, რომელიც გაბმულია ურიცხვ თაობათა შორის და რომელიც შეუწყვეტლივ გვაწვდენს წინა თაობების ნამუშევარს და ა.შ“(სურგულაძე, 1905$_1$: 3-4).

იმავე სულისკვეთებას იზიარებს ლუარსაბ ბოცვაძე, რომელიც დედა ენაზე სწავლების აუცილებლობას ასაბუთებს და წარმატებული დაწყებითი სასკოლო განათლების საწინდრად მიიჩნევს.. რომ ამ მოსაზრებას დიდი ხანია საზღვარგარეთ (იგულისხმება ევროპის ქვეყნები - გ.ლ) და რუსეთშიც დიდ ყურადღებას აქცევენ და „უეჭველია მალე დადგება ის დრო, რომ მშობლიურს ენას ყველა სკოლებში მიენიჭება უპირველესი და ღრმა აღმზრდელობითი დანიშნულება. რუსეთის პედაგოგებში პირველად უშინსკიმ[20] განმარტა საფუძვლიანად დედა ენის მნიშვნელობა - წერს ავტორი, - როგორც განმავითარებელი და აღმზრდელსასწავლო საგნისა, რომელსაც „საკვირველი პედაგოგის“ სახელი უწოდა. ჩვენში იმავე საგანს არა ერთხელ შეხებია ჩვენი პედაგოგი ბ-ნი ი. გოგებაშვილი, რომელიც დედა ენის მნიშვნელობის შესახებ სტამბავდა წერილებს (ბოცვაძე, 1908: 57). წერილში საუბარია იაკობ გოგებაშვილის ცნობილ კონცეფციაზე დედა ენის სწავლების შესახებ, რომელიც ჯერ „ივერიაში“ დაიბეჭდა, შემდეგ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა სათაურით „ძირითადი უკუღმართობა“, ხოლო ბოლოს გადამუშავებული და ახალი არგუმენტებით დასაბუთებული წარმოადგინა ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“ (გოგებაშვილი 1903). იაკობ გოგებაშვილის იდეას, სკოლაში დედა ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ, კოცეფციის სახე საბოლოოდ ამ ნაშრომში მიეცა.

ბუნებრივია, იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებს ჰყავდა კრიტიკოსები, რომლებიც ღიად ილაშქრებდნენ „დედა ენის“ წინააღმდეგ, აცხადებდნენ, თითქოსდა წიგნი „წარმართობას ნერგავდა მოზარდ თაობასა და ქართველ

ლების სფეროში შეტანილი წვლილი“, ლაიფციგი 1897 (ასევე შეიცავს გერმანული განათლების ჟურნალის სხვადასხვა სტატიებს). მისი მემკვიდრეობიდან ასევე ცნობილია, ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული „მასალები გერმანელი ხალხური სიმღერის ისტორიის შესახებ“, ლაიფციგი 1900 და ზემოთხსენებული „ვალტერ ფონ დერ ვოგელვაიდეს შესახებ“, რომელიც არის მისი ახალგაზრდული პერიოდის ნაშრომი და გამოიცა 1900 წელს და ა. შ. (Elschenbroich, 1972).

[20] ავტორის გულისხმობს რუსეთში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელს კონსტანტინე უშინსკის (1823 – 1870).

ხალხში“, რომ წიგნში გამოქვეყნებული ზოგიერთი მოთხრობა და ქართული ხალხური ზღაპარი წარმართულ იყო (მოგზაური, 1905.1), „დედა ენას“ და „ბუნების კარს“ უწუნებდნენ ენას, მოთხრობებს, ანდაზებს, იგავ-არაკებსა და საბავშვო ზღაპრებს, თხრობის თანმიმდევრულობას და ა. შ. ამგვარ ბრალდებებს ლუარსაბ ბოცვაძემ დამაჯერებელი პასუხი გასცა:„პესტალოციდან[21] დაწყებული, პედაგოგიკაში საანბანო ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, რომ საუბრებს, ანუ დაკვირვებითს სწავლებას, ცოცხალ სიტყვას, დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის გარშემო არსებულ საგნების გაცნობაში, ...ამ წესით ბავშვები ჯეროვნად გაიცნობენ საგნებს, რომლის შესახებაც მათ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და მეორე მხრით, ამ საგნების განხილვით და დაკვირვებით, ბავშვის გარეგანი გრძნობანი მუდმივ ვარჯიშობაშია და განვითარების გზაზე დგანან (ბოცვაძე 1912: 161-162). „ბუნების კარში“ იმდენად მდიდარი მასალა არის, როგორც სამეცნიერო, ისე სალიტერატურო, ეს ჩვენს პირობებში ღირსებას შეადგენს სახელმძღვანელოსას და არა ნაკლს“ (ბოცვაძე, 1912: 162).

ლუარსაბ ბოცვაძე „დედა ენას“ და „ბუნების კარს“ ერთ კონცეპტუალურ მთლიანობად განიხილავს, რომელიც აგებული იყო მაშინდელი პედაგოგიური მეცნიერების ყველაზე პროგრესულ იდეებზე. „ყველა მასალა, რაც „ბუნების კარშია“ მოთავსებული, დედა ენის სწავლებასთან არის დაკავშირებული; დედა ენა შუა წერტილია, რომლის გარშემო თავმოყრილია სხვა და სხვა გვარი დარჩეული მასალა,..აქ სალიტერატურო და სამეცნიერო მასალებს შორის მჭიდრო კავშირია,...ეს ასეც უნდა იყოს“და ემყარება საუკეთესო პედაგოგების მოსაზრებებს (ბოცვაძე, 1912: 169) „უნდა გვახსოვდეს, რომ უმთავრესი და საზოგადო მიზანი დასაწყისი სკოლის კურსისა *ბავშვის პიროვნების განვითარებაა*“, წერდა ოპონენტებს ლუარსაბ ბოცვაძე (ბოცვაძე, 1912: 170).

როგორც ისტორიული დისკურსიდან ჩანს, ქართველ განმანათლებელთა დიდი ნაწილი დისკურსის დროს ევროპელ და რუს განმანათლებელთა შეხედულებებს იმოწმებდნენ, თვლიდნენ, რომ სასკოლო განათლებაში უნდა მომხდარიყო ევროპული საგანმანათლებლო შეხედულებების ინტეგრაცია და სასკოლო ცხოვრების პროგრესულ იდეებზე გამართვა. ამ მიზნით უცხო ენებიდან (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული) თარგმნიდნენ ცნობილ განმანათლებელთა პედაგოგიურ ნააზრევს. საქართველოში ევროპელ განმანათლებელთა შეხედულებების ქართულ ენაზე თარგმნა და გავრცელება იმდენად ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო, ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს და აქ აღარ განვიხილავთ.

[21] ავტორს მხედველობაში ჰყავს შვეიცარიელი განმანათლებელი და პედაგოგი იოჰან ჰაინრიხ პესტალოცი (1746 - 1827).

XX საუკუნის დასაწყისში ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცელებზე გამართული სასკოლო განთლების დისკურსი გვიჩვენებს, რომ ავტორთა დიდი ნაწილი სხვადასხვა საგანმანათლებლო თეორიას ემხრობოდა, რომელთა დანერგვა იმ ეპოქის რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობდა. გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ჩანს, მიუხედავად ამ აზრთა სხვადასხვაობისა, ისტორიული დისკურსის მონაწილეები კოლონიური უღლის ქვეშ მყოფი ქვეყნის საგანმანათლებლო სასტემის ევოლუციური (და არა რევოლუციური) განახლების მომხრე იყვნენ, *ემიჯნებოდნენ ბრმა მიმბაძველობას და ყველა საგანმანათლებლო თეორიას საქართველოს ეროვნული ინტერესების საფუძველზე განიხილავდნენ.* ამის ნათელი მაგალითია დისკურსის სხვადასხვა მონაწილეთა პუბლიკაციები, რომლებშიც წინა პლანზე ქართველი ერის ეროვნული და კულტურული იდენტობის, მისი კულტურული აღორძინების საკითხებია წამოწეული.

1908 წელს იდეალისტის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მასალაში ვკითხულობთ „საქართველოს სკოლა გახდა უკუღმართი პედაგოგიური პრინციპების სანერგედ, აღმა სახნავი დაღმა დახნეს და ნაყოფი, რასაკვირველია ამ შრომამ შესაფერი მოიტანა. რა იყო და რა არის დღესაც მიზეზი ამ „ძირითად უკუღმართობისა“ ჩვენი სწავლა - განათლების საქმეში? ერთად - ერთი მიზეზია სკოლის პოლიტიკურ იარაღად აღიარება. „სკოლა არის სათნოების სახელოსნოო“, სთქვა ამ სამასის წლის წინედ შესანიშნავმა პედაგოგმა კომენსკიმ[22], „სკოლა არის ადამიანის ბუნების გასაუკუღმართებელი და გარდასაქმნელი ქურაო“ აღიარა რუსეთში სწავლა-განათლების საქმეთა გამგე - ბიუროკრატიამ და მიუსია ახალთაობას მთელი რაზმი დამსახიჩრებელ ოსტატთა“ - წერდა გულდაწყვეტილი ქართველი იდეალისტი XX საუკუნის დასაწყისში და სწავლა აღზრდის საქმის დასახიჩრება ეროვნული გადაგვარების საქმედ მიიჩნია (იდეალისტი, 1908: 41-42). უცნობი ავტორი ამ უკუღმართობაში ყველაზე საშინელებად თვლიდა სკოლებიდან დედა ენის განდევნას, როგორც საუკეთესო საშუალებას უცხო ენის შესწავლისა.

სასკოლო დისკურსის თემა აქტიურად იყო წარმოდგენილი „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე, სადაც ხშირად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლების დაარსების, საყოველთაო განათლების შემოღების აუცილებლობის, სოფლად სკო-

[22] ავტორი გულისხმობს ჩეხ პედაგოგსა და განმანათლებელს იან ამოს კომენიუსს, „დიადი დიდაქტიკის“ავტორს, რომელშიც ქადაგებდა საყოველთაო განათლებას, უნივერსალიზმსა და უნიტარიზმს. მან პირველმა შეიმუშავა საგაკვეთილო სისტემა, რომელიც დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია სხვადასხვა ფორმით გამოყენებული. იან კომენიუსს ეკუთვნის ასევე უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „უნივერსალური რჩევა ადამიანების საქმეთა გამოსასწორებლად“ (Krulj, Vidosavljević, Lazović, 2020).

ლების შემოღების, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების გახსნის, სამასწავლებლო სემინარიების დაარსების აუცილებლობის, სკოლებში ქართული სიმღერა-გალობის სწავლების, სოფლებში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ მოზრდილთათვის საკვირაო კურსების გახსნის შესახებ, ცალკე თემად არის წარმოდგენილი ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ გამოსვლა და მასში შეტანილი ცვლილებები, სასკოლო სახელმძღვანელო წიგნების „დედა ენისა“ და „რუსსკოე სლოვოს“ გამოსვლისა და გაანალიზების, გურიაში სწავლა-განათლების განხილვის, სოფლის სკოლებში (მაგ. წინარეხის) წიგნებისა და სასწავლო ნივთების უკმარისობის მხარდაჭერის, ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართული საქველმოქმედო ცეკვის საღამოს, სოფლებში (მაგ. სოფ. კულაშში) სამკითხველოს გახსნის, რუსეთსა და ევროპაში სასწავლებლად წასულ სტუდენტთა მხარდაჭერის, 1909 წელს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში მუშებისა და უბრალო მსურველთათვის პირველდაწყებითი კურსების მოწყობისა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებათა შესახებ.

„სახალხო გაზეთის“ ორ ნომერში გამოქვეყნდა ილია წინამძღვრიშვილის საგანგაშო წერილი „ოჯახი შეირყა“, სადაც ავტორი საუბრობს ოჯახის როლზე ბავშვების აღზრდაში (წინამძღვრიშვილი, 1909, N7,N8,N9) და საზოგადოებას ოჯახში აღზრდის მნიშვნელობის შესახებ დაუსაბუთებულ მოსაზრებებს აწვდის . იმავე გაზეთში საინტერესო ცნობაა დაცული სოხუმის ექვსკლასიანი პროგიმნაზიის შვიდწლიან პროგიმნაზიად გადაკეთების და მასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობისა და მათი მოგვარების შესახებ („სახალხო გაზეთი“, 1909.22.10. N7)

ზოგჯერ ავტორები იუმორის ფორმით აწვდიან მკითხველს საჭირო ინფორმაციას, „სახალხო გაზეთი“ რუბრიკით „ნუთუ მართალია“ აქვეყნებდა ქართული ენის დამახინჯების ფაქტებს ან ქართული სკოლიდან ქართული ენის განდევნის მტკივნეულ ამბავს („სახალხო გაზეთი“, 1909, 25 ოქტომბ. N8). პოლემიკური ხასიათის წერილს ვხვდებით 1909 წელს თბილისში ქართული საბავშვო ბაღის დაარსებისა და შემდგომ მის აკრძალვის თაობაზე („სახალხო გაზეთი“, 1909, 11. 10. N4). მსგავსი ფორმითაა გადმოცემული ავტორის სათქმელი, სოფელ ნორიოში 27 დუქნის და არც ერთი სკოლის, ხოლო სოფელ აკეთში, სამი სკოლისა და არც ერთი დუქნის არსებობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული ჟურნალ - გაზეთები ისტორიულ დისკურსში ყურადღებით აკვირდებიდნენ რუსეთსა და ევროპაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებს. მაგალითად, გაზეთებში წარმოდგენილია ინფორმაცია ახალი სასწავლებლების დაარსების შესახებ: ვარშავაში ქალთა უმაღლესი კურსების გახსნა, კიევში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება, სმოლენსკში სკოლის, წიგნთსაცავისა და სახელმძღვანელოებისთვის თა-

ნხების გამოყოფა, ვერხნე დნეპროვსკში საყოველთაო პირველდაწყებითი განათლების შემოღება და ა.შ. *ეს იყო მისაბაძი მაგალითები, რომლებსაც შეეძლო ქართული საზოგადოების დაინტერესება და მსგავსი ინიციატივების მოტივაციის გამოეწვევა.*

ეპოქის ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ვხვდებით დასავლური საგანმანათლებლო თეორიების ეროვნულ ნიადაგზე ეტაპობრივი დამკვიდრების პროცესსაც. მაგალითად, ასეთია დიმიტრი უზნაძის „ექსპერიმენტული პედაგოგიკის თეორია“[23],რომლითაც ავტორი ცდილობდა გაემრავალფეროვნებინა სასკოლო განათლების პროცესი. მეცნიერი თვლიდა, რომ ეს არ იყო ერთადერთი თეორია, რომლითაც შეიძლება ეხელმძღვანელა ქართულ სასკოლო განათლებას, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს თეორია ხელს შეუწყობდა ბავშვის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას სასკოლო განათლებაში.

შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძე არის პირველი ქართველი პროფესიონალი მეცნიერი პედაგოგი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულად გამართული პედაგოგიკის სისტემატურ კურსს (ბასილაძე, თავდგირიძე, 2024: 93). დიმიტრი უზნაძის შეხედულებები სასკოლო განათლებაში აღზრდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ პირველად 1910 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „დროების“ სამი ნომრის ფურცლებზე. სტატიაში ახალგაზრდა მეცნიერი თომას ჰობსის, ჟან ჟაკ რუსოს, ფრენსის ბეკონის და სხვა ევროპელ განმანათლებელთა შეხედულებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ავითარებს მოსაზრებას ადამიანის ბუნების ნამდვილი არსის, ზნეობრიობისა და გონებრივი განვითარების აუცილებლობის შესახებ. იქვე განმარტავს სწავლის პროცესში ობიექტური აზროვნების, სინამდვილის, ანუ ჭეშმარიტების ძიების, მოვლენების სწორად, ობიექტური შეფასებისა და სუბიექტური აზროვნების დაძლევის დამკვიდრების აუცილებლობას. გონებით განუვითარებელი ადამიანისთვის მთელი ბუნება მოულოდნელ და საშინელ მოვლენათა დაუშრეტელი წყაროა. მისი ცხოვრების წინსვლის მიმდინარეობა რაღაც საიდუმლოებით არის მოცული (უზნაძე, 1910, N6: 2). წერილში დიმიტრი უზნაძე აკრიტიკებს განათლებაში ინტელექტუალური თეორიის მიმდევრებს და ამ მიმდინარეობას ასე ახასიათებს: „ინტელექტუალიზმი, რომელიც განსაკუთ-

[23] ექსპერიმენტული პედაგოგიკა, როგორც გარკვეული პედაგოგიური მიმდინარეობა, XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მისი წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ცნობილი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ს. ჰოლის, ა. ბინეს, ე. მეიმანის, ე. თორნდრაიკი და სხვათა სახელთან. ამ მიმდინარეობის მომხრეთა აზრით, მთელი აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში უნდა შეუფარდდეს და შეეგუოს ბავშვის ბუნებას, მის თავისებურებას (ბასილაძე, თავდგირიძე 2024: 86). საგულისხმოა, რომ დ. უზნაძემ თავისი შეხედულებებით ექსპერიმენტული პედაგოგიკის თეორიას ახალი არგუმენტები შემატა და ახალ საფეხურზე აიყვანა.

რებულის ძალით მოქმედებდა რუსეთში და ჩვენშიაც და რომელიც მარტოდ-მარტო ბატონობს დღევანდელ სკოლაში და ურიცხვ ზიანსა ჰქმნის. ინტელექტუალიზმი სცდება, რომ ივიწყებს იმ სუსტ მხარეებს, რომელნიც განუყრელ მოსდევენ გონებრივ განვითარებას (უზნაძე, 1910, N6: 3). ავტორის აზრით, ინტელექტუალური განათლება ცალმხრივ ავითარებს გონებას და ფანტაზიას და გრძნობას აჩლუნგებს, ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა კი უდავოა. მაშინ როდესაც ფსიქოლოგიური მეცნიერება ამტკიცებს, გრძნობა უმთავრესი მოტივია ნებისა, ნუ გაგვიკვირდება თუ ცალმხრივ გონებრივ განვითარებას აუცილებლად მოსდევს გადაუწყვეტლობა და უმოქმედობა. ავტორი ასკვნის რომ მხოლოდ ინტელექტუალური განვითარება ორპირი იარაღია: ერთი მხრით, იგი მდიდარია „ფრიად საყურადღებო ღირსებით, მაგრამ მეორე მხრით, მავნებელია, როდესაც იგი ცალმხრივ მიმართულებას იღებს. ავტორი ცდილობს დაარწმინოს მისი ეპოქის თანამედროვე საზოგადოება, რომ ინტელექტუალური განათლების ნათელი მხარეები, მას აღზრდის აუცილებელ მიზნად აქცევენ, მაგრამ მისი უარყოფითი მხა-რეები იმავე დროს გვაფრთხილებენ, გვასწავლიან თუ რამდენად საშიშია რაოდენ მავნებელი ინტელექტუალური აღზრდის გადამეტებული კულტი (უზნაძე, 1910, N6: 3). მისი აზრით, შეუწყნარებელია ცალმხრივი ინტელექტუალიზმი და ინტელექტუალური განათლების ერთადერთ მიზნად დასახვა, მაგრამ ამავე დროს, მეცნიერი აცხადებს, მასწავლებელმა, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ინტელექტუალურ განათლებას, ე.ი. „სწავლას“, მაგრამ არ უნდა ავიწყდებოდეს რომ მოსწავლე ადამიანია, და ფანტაზია და გრძნობა აუცილებელ და საჭირო ძალებს წარმოადგენს მის ბუნებაში. დასასრულს დასკვნის სახით წერს, „ინტელექტი გრძნობასთან უნდა შევარიგოთ“ და მათ შორის არსებული ანტაგონიზმი ძირიანად აღმოვფხვრათ. და ამას აღმზრდელის პედაგოგიურ ტაქტთან, მისი მოვალეობისადმი სიყვარულთან და უნართან აკავშირებს. შესაბამისად, მეცნიერი მოითხოვს, „აღმზრდელს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული და თეორიული პედაგოგიკა მათ მხოლოდ მიზნებს დაუსახავს“ (უზნაძე, 1910 N6: 3). საგულისხმოა, რომ დიმიტრი უზნაძე აღნიშნულ წერილში პირველად საუბრობს ექსპერიმენტალურ პედაგოგიკაზე.

1911 წლიდან დიმიტრი უზნაძე იწყებს თავისი პედაგოგიური შეხედულებების პუბლიკაციას გაზეთ „კოლხიდაში“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. ნაშრომი „ნაწყვეტები ექსპერიმენტული პედაგოგიკიდან“ გაზეთ „კოლხიდის“ ცამეტ ნომერში გამოქვეყნდა ორ ნაწილად. ნაშრომის პირველ ნაწილში ავტორი მკითხველს აცნობს ექსპერიმენტული პედაგოგიკის წანამძღვრებს, საუბრობს პედაგოგიკის რაობაზე, პედაგოგიკაში ასაკობრივ ფსიქოლოგიაზე და ა. შ. (უზნაძე, 1911, 1.), ნაშრომის მეორე ნაწილში აღწერილი იყო ყურად-

ღების არსი, სახეები და დამახასიათებელი თავისებურებანი, ბავშვის ყურადღების მნიშვნელობა სწავლის პროცესში და ა. შ. (უზნაძე, 1911, 2). მომდევნო წელს დ. უზანძე აქვეყნებს ნაშრომს „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“, რომელშიც განიხილავს რა ქართული სკოლის პრობლემებს, საუბრობს აღზრდის მიზანთა სოციალურ ბუნებაზე და აღზრდის პროცესის ძირითად წინააღმდეგობად მასწავლებლისა და მოსწავლის განსხვავებულ მისწრაფებებს თვლის, სწორედ ამის გამოსასწორებლად ექსპერიმენტულ პედაგოგიკას გვთავაზობს (უზნაძე, 1912$_{1:}$ 428-438).

1912 წელს მეცნიერმა ექსპერიმენტული პედაგოგიკის ნაწყვეტების ნაცვლად მთლიანი მონოგრაფია შესთავაზა მაშინდელ პედაგოგიურ საზოგადოებას სათაურით„ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“რომელშიც, პირველად ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორიაში მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა სასკოლო საგანმანათლებლო პროცესის კვლევას საქართველოში. საქართველოში პირველი მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია სასკოლო განათლების შესახებ, დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას და გამოიყენება სასწავლო პროცესში მომავალ მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა მომზადების პროცესში. მონოგრაფიაში დიმიტრი უზნაძე ამტკიცებს, რომ სკოლა უნდა წარმოადგენდეს ბავშვის წვრთნის და ყოველმხრივი განვითარების და არა სრული უგულებელყოფის კერას. აქედან გამომდინარე, პედაგოგიკური თეორიის ძირითად ამოცანად ბავშვის ფსიქიკის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებისა და მათ პედაგოგიკურ პროცესში ფორმირების შესწავლას სახავს (უზნაძე 1912$_2$). თავად ბავშვის ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლა პედაგოგიკის ამოცანების შუქზე საქართველოში დიმიტრი უზნაძის აღნიშნული გამოკვლევით იწყება. ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა ქართულმა მოწინავე პედაგოგიურმა პრესამ, კერძოდ, ლუარსაბ ბოცვაძის ჟურნალმა „განათლებამ“[24].

დიმიტრი უზნაძის ამ მონოგრაფიაში სისტემურად არის დალაგებული ინფორმაცია მეცნიერების განვითარების, პედაგოგიკის ცნებების, პედაგოგიური და ეთიკური ნორმების, შესახებ. მეცნიერი ამტკიცებდა რომ პედაგოგიკა იყო ხელოვნება, რომელიც აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ მას აქვს ნაკლი, რომლის გამოსწორება ბავშვის ასაკობრივი ფსიქოლოგიის გათვალისწინების დახმარებით არის შესაძლებელი და ასაბუთებს როგორ ეხმარება ექსპერიმენტული პედაგოგიკა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია აღზრდის პროცესს და ა. შ (უზნაძე, 1912$_2$).

---

[24] იმავე დროს დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით ქ. ქუთაისში დაარსდა ქალთა სკოლა „სინათლე“, სადაც სწავლება ქართულ ენაზე, ექსპერიმენტული პედაგოგიკის საფუძველზე წარმოებდა. სკოლის წარმატებები საყოველთაოდ ცნობილი იყო მაშინდელი საზოგადოებისთვის.

გარდა აღნიშნული ნაშრომისა, დ. უზნაძე პრესაში ხშირად ბეჭდავდა სტატიებს აღზრდის მიზნებისა და პრობლემების, ინდივიდუალობისა და მისი გენეზის, ომის ფილოსოფიის, ისტორიული მატერიალიზმის შესახებ (უზნაძე, 1914). წერილების ეს ციკლი მეცნიერმა მომდევნო წლებშიც გააგრძელა. 1915 წელს, გაზეთ „მეგობარში“[25] ხუთ ნაწილად დაიბეჭდა მისი ნაშრომი „პედაგოგიური წერილები“, რომელშიც მეცნიერი განიხილავს თუ როგორი უნდა იყოს პროფესიონალი პედაგოგი, განმარტავს საზოგადო განათლებას და იძლევა მის ისტორიულ-კრიტიკულ ანალიზს, საუბრობს სასკოლო განათლების ცხოვრებასთან დაახლოების პრინციპებზე და ამ კონტექსტში განიხილავს ცხოვრების რაობას, რომელიც კარნახობს საზოგადოებას თუ, როგორი უნდა იყოს სასკოლო (და არა მარტო) განათლება (უზნაძე, 1915). 1916 წელს იმავე გაზეთის ორ ნომერში გამოქვეყნდა „პედაგოგური წერილების“ გაგრძელება, რომელშიც ავტორი განიხილავს ცხოვრების რაობისა და აღზრდის ურთიერთმიმართების საკითხებს (უზნაძე, 1916$_1$).

1916 წელს გამოქვეყნდა დ. უზნაძის „მსოფლიოს ისტორია, ნაწილი პირველი, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა“, შესწავლის შესახებ (უზნაძე, 1916$_2$), რომლის მეორე შესწორებული გამოცემა 1917 წელს იმავე გამომცემლობამ დასტამბა. საგულისხმოა, რომ ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში გაანალიზებულია მსოფლიო ისტორიისა და პირველყოფილი კულტურის სწავლების საკითხი (უზანაძე, 1917)[26].

---

[25] გაზეთი „მეგობარი“ იყო ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, ეროვნული, ანტირუსული, მაგრამ სოციალისტური მიმართულებისა, გამოცემდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, რედაქტორ-გამომცემელი იყო გრიგოლ რცხილაძე. გაზეთში თანამშრომლობდნენ ქართული განათლების საკითხებით დაინტერესებული მოღვაწეები: ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ დიასამიძე, ილია ნაკაშიძე, ალექსანდრე ნაკაშიძე, იგივე ალექსანდრე ფრონელი, მალაქია ბოლქვაძე და სხვები. გაზეთი დაიხურა 1907 წლის 3 იანვარს ადგილობრივი მთავრობის (თბილისის გენერალ-გუბერნატორის - გ.ლ.) განკარგულებით (ქსე, 1983:535). „მეგობარის“ ნაცვლად 1907 წელს გამოიცა გაზეთი „ისარი“, რომელიც მომდევნო წელს ასევე გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა.

[26] დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში პედაგოგიურ-ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებთან ერთად თვალსაჩინო ადგილი უკავია ისტორიიულ მეცნიერებასაც. 1909 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დ. უზნაძემ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო ჰალეს უნივერსიტეტში, სამშობლოში დაბრუნდა და საქართველოს ერთ-ერთ ძირითად საგანმანათ-ლებლო სასწავლებელში ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა (ბერულავა, 1967: 18-19). ისტორიის მიმართულებით ცოდნის გასაღრმავებლად დ. უზნაძე 1910 წელს შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში, ექსტერნად წარჩინებით ჩააბარა გამოცდები და 1913 წელს მიენიჭა პირველი ხარისხის დიპლომი ისტორიის მიმართულებით. ხარკოვში უნივერსიტეტში დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ ქუთაისში დაბრუნდა, რადგან მისი ძირითადი იდეა მიმართული იყო სახალხო განათლებისა და ქართული სკოლის აღორძიება. სწორედ, ამ დროს წერს დიმიტრი უზ-ნა-

სასკოლო განათლების ისტორიულ დისკურსში ვხვდებით რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო სკოლებში გაბატონებული „ინტელექტუალიზმის თეორიის“, „ფორმალური განათლების“, „ახალი სკოლის თეორიის“ შესახებ სხვა წერილებსაც. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგელობდა ე.წ. „ინტელექტუალიზმის თეორია“[27], რომელიც ფილოსოფიურ - პედაგოგიურ მიმართულებად ჩამოყალიბდა და პრიორიტეტს ანიჭებდა მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას, ფოკუსირებული იყო კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლობის განვითარებაზე, ვიდრე ფაქტების დამახსოვრებაზე.ამ თეორიის ძირითადი მიმდევრები იყვნენ ცნობილი რუსი მწერალი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი და რუსული სამამულო პედაგოგიური ფსიოქლოგიის ფუძემდებელი პეტრე ფედორის ძე კაპტერევი, რომლებიც, ინტელექტუალიზმის თეორიის მსოფლ-მხედველობას პედაგოგიკაში განსხვავებული აქცენტით იზიარებდნენ და მეტ ყურად-ღებას აქცევდნენ მოსწავლის გონებრივი განვითარების იდეას. პ. ფ. კაპტერევმა[28] შეისწავლა მცირეწლოვანი ბავშვების გონებრივი შესაძლებლობების განვითარებისა და განათლების გაძლიერების საკითხები. მისი კონცეფცია მოსწავლეთა

ძე ზემოთხსენებულ ნაშრომებს, რომელიც გააგრძელა მომდევნო წლებშიც. მაგ. 1918 წელს გამოაქვეყნა ახალი ისტორია საშუალო სასწავლებლებისთვის ნაწილი I (XV-XVIII სს). მსოფლიო ისტორია, ნაწ. II. ძველი საბერძნეთი და ა. შ. დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ისტორიულ დარგში ცალკე კვლევის თემაა და ამჯერად აქ არ შევრჩერდებით.

[27] ინტელექტუალიზმი არის ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი დოქტრინის აღსანიშნავად, რომელიც ექსკლუზიურად ინტელექტუალურ ფუნქციებზეა ორიენტირებული. ინტელექტუალიზმის თეორია მიეწერება სოკრატეს, თეორია ამტკიცებს, რომ სათნოება ცოდნის ფორმაა და რომ ადამიანები უზნეოდ მხოლოდ უმეცრების ან შეცდომის გამო იქცევიან. შეხედულების თანახმად, ყველა, ვინც ჭეშმარიტად იცის, რა არის სათნოება, აუცილებლად სათნოდ იმოქმედებს. ჩვენს შემთხვევაში „ინტელექტუალიზმის თეორია“ სასწავლო პროცესში აზვიადებს კოგნიტური პროცესების (ინტელექტის) როლს გრძნობების ან ნების საზიანოდ. ინტელექტუალიზმის სახეებია ფსიქოლოგიური (მაგ. იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტის სისტემა, რომელსაც ქვემოთ მოკლედ შევეხებით), ეთიკური (მაგ. სოკრატული ტრადიცია ეთიკურ სწავლებებში), პედაგოგიური (სწავლის პრიმატი განათლებაზე). თეორიის კრიტიკისას, ცნობილ ფსიქოლოგს ლევ ვიგოტსკის (1896-1934) მოსწონდა ვოლფგანგ კოელერის (1887 – 1967) აფორიზმის ციტირება: „არსად არ ვარ მე ისეთი უნაყოფო, როგორც ინტელექტის გაგებაში“. ფსიქოლოგიაში ანტიინტელექტუალისტური თეორიის მაგალითია კურტ ლევინის (1890 - 1947) კვაზი-მოთხოვნილებების თეორია. ეპისტემოლოგიური სწავლებების სფეროში ინტელექტუალიზმი (ინტელექტის საკმაოდ ფართო გაგებით) წარმოდგენილია ორი ვარიანტით: ემპირიზმი (მათ შორის სენსუალიზმი) და რაციონალიზმი (ინფორმაციის ნაწილი აღებულია Словарь, 1991: 161).

[28] პ.ფ კაპტერევს ეკუთვნის კიდევ ერთი საინტერესო იდეის შემოტანა რუსულ იმპერიულ საგანმანათლებლო სისტემაში - სწავლების ევრისტიკული ფორმა, რომელიც პირველად წარმოადგინა 1878 წელს სტატიაში „სწავლების ევრისტიკული ფორმა სახალხო სკოლაში“ (Каптерев 1982; Лейтесс 1998).

ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას, კრიტიკული აზროვნებისა და სამეცნიერო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. ნაშრომში „გონების არისტოკრატია სკოლაში და ცხოვრებაში“ იგი ასაბუთებდა მოსაზრებას, რომ როგორც მორალური ვალდებულება, ასევე მატერიალური გათვლები მოითხოვს, რომ ყველა ერმა არ დაკარგოს თავისი პოტენციური ნიჭი. აღნიშნავდა, რომ ხალხი დღეს ძლიერია არა რიცხობრივად, არა კუნთებით, არამედ ინტელექტით, ნიჭით და შეუძლებელია დაუშვა, რომ მათი განვითარების დაბრკოლებები არ აღმოიფხვრას, ისე, რომ ისინი გამოუყენებელი დარჩნენ, დაუდევრობისგან დაიღუპონ (Каптерев, 1901: 1-9). ეს შეხედულებები რამდენადმე ეწინააღმდეგებოდა ემპირიზმსა და პრაქტიკულ მიდგომებს სასწავლო პროცესში, რომელიც ფოკუსირებული იყო ლოგიკის, აბსტრაქტული აზროვნებისა და სამეცნიერო კვლევის ჩატარების უნარ - ჩვევებზე.

პ. კაპტერევის აზრით, სკოლამ განათლება არ უნდა შეამციროს გარეგანი დისციპლინის შენარჩუნებით, მისი როლია უზრუნველყოს მოსწავლეთა ხასიათისა და მსოფლმხედველობის განვითარება. ეს შეუძლებელია ინტელექტუალური ინიციატივის განვითარების, ინტელექტუალურ შრომასთან შეჩვევისა და მის მიმართ ინტერესის გაღვივების გარეშე. ასეთი ამოცანის მიღწევა მხოლოდ ევრისტიკული მეთოდებით არის შესაძლებელი. ავტორის აზრით, ბავშვთა ფსიქოლოგიის ცოდნა აუცილებელია განათლებისა და სწავლების სწორად ჩამოყალიბებისთვის.განათლება სხვადასხვა ბუნებაზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. საშუალო შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. სკოლა მოწოდებული უნდა იყოს, დიდი ყურადღება დაუთმოს გამორჩეული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს, დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და წარმართოს თვითგანათლება. მისი აზრით, პედაგოგიკის აუცილებელი პრინციპია განათლებისა და ტრენინგის ინდივიდუალიზაცია. ზოგადი განათლება არ არის საგნების შესწავლა, არამედ პიროვნების განვითარება საგნების მეშვეობით. პედაგოგიური პროცესი არის ინტეგრალური ფენომენი, რომელშიც ბიოლოგიური და სოციალური, ინდივიდი და საზოგადოება რთულ ურთიერთქმედებაში აღმოჩნდებიან. ავტორი ემხრობოდა *სკოლის ავტონომიას,* რათა მასწავლებელს შეეძლოს დამოუკიდებლობის მოპოვება თავის საქმიანობაში, ხოლო მოსწავლეებს შეეძლოთ თავისუფლად განავითარონ თავიანთი რწმენა და შეხედულებები რელიგიაზე, სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე. რომ მასწავლებლის მატერიალური და სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესება ამ საქმიანობაში მიიზიდავდა ნიჭიერ ადამიანებს. პ. კაპტერევი იყო თეორეტიკოსი და დიდაქტიკის ყველა პრობლემას ფსიქოლოგიის თვალსაზრისით მიუდგა (Коджаспирова, 2003: 138).

მიუხედავად პეტრე კაპტერევის იდეების პოპულარობისა, რუსეთის იმპერიის საშუალო სკოლებში სწავლების მთელი სისტემა ემყარებოდა ე.წ. „ფორმალური განათლების თეორიას“[29]. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ეს თეორია, ზოგადად, ინტელექტუალიზმის თეორიის წიაღში იშვა. ფორმალური განათლების თეორიის მომხრეთა აზრით, გონებრივ ნიჭიერებათა განვითარებისათვის საუკეთესო მასალას იძლევა გრამატიკა, მათ შორის, პირველ რიგში, ძველი კლასიკური ენების გრამატიკა და მათემატიკა.

მე-19 საუკუნეში რუსეთში დასავლეთიდან ვრცელდება მატერიალური განათლების თეორია[30], ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ და მისმა სამეცნიერო-ტექნიკურმა საფუძვლებმა წამოჭრა ადამიანების საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და პრაქტიკული სწავლებით მომზადების საკითხი.

დასკვნა. საქართველოში ყველა ზემოთხსენებულ თეორიას იცნობდნენ, რაც აისახა XX საუკუნის დასაწყისის ქართული ჟურნალ გაზეთების დისკურს-

---

[29] ფორმალური განათლების თეორია სათავეს ჯერ კიდევ ჯონ ლოკის (1632-1705) იოჰან ჰაინრიხ პესტალიოცის (1745 – 1827), ემანუელ კანტის (1724-1804) შემოქმედებაში, მაგრამ საბოლოო სახე მან გერმანელი ფილოსოფოსის, ფსქიოლოგისა და პედაგოგის იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტის (1776-1841) შრომებში მიიღო. ამ თეორიის მომხრეები რაციონალიზმის ფილოსოფიას მისდევდნენ და თვლიდნენ, რომ ცოდნის წყარო გონებაა, რომ ცოდნა მხოლოდ ამ გონების დამოუკიდებლობით წარმოიქმნება. ამიტომ, ისინი განათლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას არა იმდენად მოსწავლეების მიერ ფაქტობრივი ცოდნის შეძენაში, არამედ მათი გონების განვითარებაში ხედავდნენ, ანუ ანალიზის, სინთეზირების, ლოგიკურად აზროვნების და ა.შ. უნარის განვითარებაში. ამ წინაპირობაზე დაყრდნობით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოსწავლეთა აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებაა ენების, განსაკუთრებით ძველი ენების - ბერძნული და ლათინური, ასევე მათემატიკის შესწავლა და ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, განათლების ჰუმანიტარულ, „კლასიკურ“ მიმართულებას იცავდნენ. XIX -XX სს. მიჯინის რუსეთის კლასიკურ გიმნაზიებში, ისევე როგორც ევროპულ სასწავლებლებში, ძირითადად ენებს სწავლობდნენ: ლათინურს, ბერძნულს, გერმანულს, ფრანგულს, რუსულს და ა.შ. თუმცა, ქიმია და ფიზიკა, როგორც სპეციალური საგნები არ არსებობდა: ისინი ზოგად საგანში - ბუნებისმეტყველებაში შედიოდნენ. ფორმალური განათლების თეორიის ელემენტები დღესაც გამოიყენება. კერძოდ, მის საფუძველზე ფუნქციონირებს ინგლისში გრამატიკული სკოლები, რომლებიც, როგორც სახელიდან ჩანს, ლიბერალური ხელოვნების განათლებაზეა ორიენტირებული (Alan Kim 2015).

[30] ამ თეორიის ერთ-ერთი მომხრე და მიმდევარი ჰერბერტ სპენსერი (1820-1903) ამტკიცებდა, რომ ცოდნა არ შეიძლება სცილდებოდეს უშუალო გამოცდილებას და რომ ცოდნის ერთადერთი წყარო გამოცდილებაა. აქედან გამომდინარე, თეორიის მომხრეებმა გამოიტანეს შემდეგი პედაგოგიური დასკვნები: აუცილებელია მოსწავლეების აღჭურვა, პირველ რიგში, საბუნებისმეტყველო ცოდნით, ხოლო საგანმანათლებლო მასალის შერჩევის კრიტერიუმი უნდა იყოს მისი სიცოცხლისთვის, მომავალში მოსწავლეების უშუალო პრაქტიკული საქმიანობისთვის გამოსადეგი. ამ თეორიის მომხრეები მომხრეები ემპირიზმის ფილოსოფიიდან (ბერძნული empeiria - გამოცდილება) გამომდინარეობდნენ (Харламов, 1999: 520). ეს იდეები პოპულარული იყო XIX-XX სს. მიჯნის რუსეთის იმპერიაში და ვრცელდებოდა საქართველოშიც.

ში. საგანმანათლებლო თეორიებსა და სასწავლო მეთოდებზე გამოქვეყნებულ წერილებსა და თარგმნილ მასალებში იგრძნობა იმდროინდელი ევროპის და რუსეთის მოწინავე შეხედულებების გავლენა, ამავე დროს შესამჩნევია დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ეროვნულ-სოციალურ ჭრილში ფოკუსირება. ჩვენს მიერ განხილული დისკურსის მონაწილეები, პირველ რიგში, ეროვნული მისწრაფებების, სასკოლო განათლებაში ეროვნულ ხასიათისა და ფსიქიკის, ფიზიკურ თვისებებსა და სხვა თავისებურებებზე მორგებული სწავლის მეთოდების შემოღების აუცილებლობაზე საუბრობენ.

ამრიგად, ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ 1900 - 1910-იანი წლების სასკოლო განათლების ისტორიულ დისკურსში ჩართული რუსეთსა და დასავლეთის უნივერსიტეტებში განათლებული ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები და მასწავლებლები, დასავლეთში აპრობირებული სხვადასხვა საგანმანათლებლო თეორიების დამკვიდრებით იყვნენ დაინტერესებული. მიუხედავად თეორიების სიმრავლისა და აზრთა სხვადასხვაობისა, დისკურსის მონაწილეთა შეხედულებები ფოკუსირებული იყო ეროვნულ საკითხზე, გათვალისწინებული იყო ქართული სასკოლო განათლების განვლილი გზა, ქართველთა ეროვნული ხასიათი და მენტალიტეტი. XX საუკუნის დასაწყისში დაწყებულმა სასკოლო განათლების დისკურსის ეროვნულმა ხასიათმა კონცეპტუალური ასახვა ჰპოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკაში, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა სასკოლო განათლების გაეროვნულების საკითხი. საგულისხმოა, რომ ამ გავლენას განიცდიდა სასკოლო განათლების დისკურსი ტოტალიტარიზმის დამკვიდრების საწყის ეტაპზეც.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბასილაძე (2011) ნოდარ ბასილაძე. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისთვის, გამომცემლობა „ლაზარე;

ბასილაძე, თავდგირიძე (2024) იმერი ბასილაძე, ლელა თავდგირიძე. XX საუკუნის ქართული დიდაქტიკური აზროვნების განვითარების ისტორიის საკითხები(1900-1960) თბილისი, გამომცემლობა „საჩინო“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://monographs.4science.ge/index.php/ss/catalog/view/137/161/373

ბერულავა (1967) ნადეჟდა ბერულავა. დიმიტრი უზნაძე, ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;

ბოცვაძე (2025) იოსებ ბოცვაძე. გაზეთი დროება ქართული ენციკლოპედია, ხელმისაწვდომია ბმულზე https://georgianencyclopedia.ge/ka/form/4656

ბოცვაძე (1991) ზურაბ ბოცვაძე. იაკობ გოგებაშვილი. გამომცემლობა „განათ-ლება“;

ბოცვაძე (1908) ლუარსაბ ბოცვაძე. დედა ენა, როგორც საფუძველი სწავლე-ბისა, ჟ. „განათლება“, N1. გვ. 57-80.

ბოცვაძე (1912) ლუარსაბ ბოცვაძე. პედაგოგიური შეუგნებლობა, „ახალ მასწავლებლის“ და „გუთნის შემდგენლების“ გამო, ჟურნალი „განათლე-ბა“, 1912, N3; გვ. 161- 175;

გოგებაშვილი (1903) იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, თხზულება იაკობ გოგებაშვილისა. მე-2 შევსებული გამოცემა. ტფილისი არ. ქუთა-თელაძის სტამბა;

გოგებაშვილი (1954) იაკობ გოგებაშვილი. ბურჯი ეროვნებისა, თხზულებანი, ტ. 2. ტომი შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ვ. ქაჯაიამ და ზ. კიკ-ნაძემ, რედ. გ. თავზიშვილი და დ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედედაგოგიკის სამეცნიერო - კვლევითი ინ-სტიტუტი.

თავზიშვილი (1977) გიორგი თავზიშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულე-ბანი, ტ II. იოსებ ბოცვაძის რედაქციით, გამომცემლობა „განათლება“;

იდეალისტი (1908) მოკლე შენიშვნა სწავლა-განათლების შესახებ საქართ-ველოში, ჟურნალი „განათლება“, N1. გვ. 41- 58.

იმედაშვილი (2018) იოსებ იმედაშვილი. ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი, 1801-1952,ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა,სტამბა „კოლორი“;

კარიჭაშვილი (1929) ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიუ-ლი მიმოხილვა,1819–1905 წწ. „ქართული მწერლობა“ 1929, N6-7, ივნისი - ივლისი;

კვალი (1904) მიმომხილველი, გაზეთი კვალი, 1904 N5.

საქართველოს გაზეთები (2025). საქართველოს გაზეთები, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საიტი, ინფორმაცია განახლებულია 2025 წლის 27 ივნისს. http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/003078/

საითიძე (2009) გელა (გიორგი) საითიძე. პეტრე სურგულაძის საგამომცემლო - პუბლიცისტური და საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოღვაწეობა, გამო-მცემლობა „უნივერსალი“;

სახალხო გაზეთი (1909, 25.10. N8). ნუთუ მართალია? „სახალხო გაზეთი“ 1909 წლის 25 ოქტომბერი, N8. გვ.3;

სახალხო გაზეთი (1909.22.10. N7) სოხუმის ექვსკლასიან პროგიმნაზიას... „სა-ხალხო გაზეთი“. 1909 წლის 22 ოქტომბერი. N7, გვ.4;

სახალხო გაზეთი (1909, 11.10. N4) შარშან დააარსეს...„სახალხო გაზეთი“. 1909 წლის 11 ოქტომბერი, N4. გვ.3;

სურგულაძე (1904) პეტრე სურგულაძე. ენა და ერი. საქართველოს კალენდარი, ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, N 65. გვ. 534-564;

სურგულაძე (1905 $_1$) პეტრე სურგულაძე.ეროვნული ენა. ამხ. „ცისკარი“-ს გამოცემა N 2, სტამბა ამხანაგობა „შრომა“. ტფილისი;

სურგულაძე (1905$_2$) დაწყებითი განათლება პეტრე სურგულაძისა, ტფილისი, ელექტრონის სტამბა, წიგნ. გ. ქართვ. ამხანაგობისა;

უზნაძე (1910) დიმიტრი უზნაძე. აღზრდის მიზნები, გაზეთი „დროება“ N6;

უზნაძე (1911,1) დიმიტრი უზნაძე. ნაწყვეტები ექსპერიმენტული პედაგოგიკიდან, ნაწ. I.გაზ. „კოლხიდა“, 1911 N76, 77, 78, 83, 88, 90, 91, 92, 93, 96, 98.

უზნაძე (1911, 2) დიმიტრი უზნაძე. ნაწყვეტები ექსპერიმენტული პედაგოგიკიდან, ნაწ. II, ყურადღება, გაზეთი „კოლხიდა“, 1911 N103, N104.

უზნაძე (1912$_1$) დიმიტრი უზნაძე. „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“, ჟურნ. „განათლება“, 1912, N 6, გვ. 428-438;

უზნაძე (1912$_2$) დიმიტრი უზნაძე. ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი, ქუთაისი, სტამბა „ძმობა“;

უზნაძე (1914) დიმიტრი უზნაძე.ომის ფილოსოფია, „სახალხო ფურცელი“, N148, N149; N150; N153; N154;

უზნაძე (1915) დიმიტრი უზნაძე. პედაგოგიური წერილები, 1. პროფესიონალიზმი, N 59; 2. საზოგადო განათლება, N60; 3-4. ცხოვრებასთან დაახლოვების პრინციპი, N53; N64; 5. N69;

უზნაძე (1916$_1$) დიმიტრი უზნაძე. პედაგოგიური წერილები, 6. ცხოვრების რაობა და აღზრდა, ნ78; N79;

უზნაძე (1916$_2$) დიმიტრი უზნაძე. მსოფლიოს ისტორია, ნაწილი პირველი, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ქუთაისი, ა. მთავრიშვილისა და ამხანაგობის წიგნის მაღაზიის გამოცემა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის გან-ბის სტამბა.

უზანაძე (1917) დიმიტრი უზნაძე. მსოფლიოს ისტორია, ნაწილი პირველი, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, მე-2 შევსებული გამოცემა, ქუთაისი, ა. მთავრიშვილისა და ამხანაგობის წიგნის მაღაზიის გამოცემა, 102, II.

ქსე (1978) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე. ტ. 3. პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი;

ქსე (1980) სოლომონ ხუციშვილი. „ივერია“ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე. ტ. 5. პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი;

ქსე (1983) ი. ლორთქიფანიძე, „მეგობარი“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე. ტ. 6. პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი;

ქსე (1984) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე. ტ. 7. პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი;

ქინქლაძე (1963) ოთარ ქინქლაძე. „დროება“ და აღზრდის საკითხები, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს გამომცემლობა, თბილისი;

ქინქლაძე (1966) ოთარ ქინქლაძე. ქართული პრესის საგანმანათლებლო პროგრამა, XIX საუკუნე. ზოგადი მიმოხილვა, გამომც. „განათლება“;

წინამძღვრიშვილი (1909) ილია წინამძღვრიშვილი. ოჯახი შეირყა გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1909 წლის 22 ოქტომბერი, N7. გვ. 2. პირველი გაგრძელება N8.გვ. 1-2; გაგრძელება - N9.გვ.1-2;

ჭავჭავაძე (1938) ილია ჭავჭავაძე. პედაგოგიური თხზულებანი. წინასიტყვაობის ავტორი გ. თავზიშვილი, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო 1837-1937, პედაგოგიკის სამეცნიერო - კვლეევითი ინსტიტუტი. გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი;

ჭავჭავაძე (1928) ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. VII. ქართული წიგნის გამოცემა;

ჯოხაძე (1957) დ. ჯოხაძე. დარვინიზმის გავრცელება საქართველოში, პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი;

Alan Kim (2015) Johann Friedrich Herbart, Stanford encyclopedia of Philosophy Archive, Winter 2015 Edition. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://plato.stanford.edu/archives/win2015/entries/johann-herbart/

Baynes, T. S., ed. (1878), Francis Bopp , Encyclopædia Britannica, vol. 4 (9th ed.), New York: Charles Scribner's Sons, pp. 49–50 ხელმისაწვდომია ბმულზე: https://en.wikipedia.org/wiki/Encyclop%C3%A6dia_Britannica

Chisholm, Hugh, ed. (1911). „Tyndall, John“. Encyclopædia Britannica. Vol. 27 (11th ed.). Cambridge University Press. pp. 499–500. ხელმისაწვდომია ბმულზეhttps://en.wikisource.org/wiki/1911_Encyclop%C3%A6dia_Britannica/Tyndall,_John

Deutsche Biographie (1894) ხელმისაწვდომია https://web.archive.org/web/20150402090159/http://bsbndb.bsb.lrz-muenchen.de/sfz32265.html (ბოლო ნახვა 15/11/2024).

Elschenbroich (1972) Elschenbroich, Adalbert, "Hildebrand, Rudolf" in: Neue Deutsche Biographie 9 (1972), S. 124-126 [Onlinefassung]; URL: ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.deutsche-biographie.de/ppn118774425.html ასევე

იხილეთ: *Friedrich Schlosser:* Encyclopædia Britannica ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.britannica.com/biography/Friedrich-Schlosser

Friedl (1992) Hans Friedl: Schlosser, Friedrich Christoph. In: Hans Friedl u. a. (dir.): Biographisches Handbuch zur Geschichte des Landes Oldenburg. Hrsg. im Auftrag der Oldenburgischen Landschaft. Isensee, Oldenburg 1992,

Goebel (1894) Julius Goebel. Modern Language Notes, Vol. 9, No. 6 (Jun., 1894), pp. 171-175 (5 pages), ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.jstor.org/stable/2918234?origin=crossref&seq=1 (ბოლო ნახვა 15/11/2024);

Krulj,Vidosavljević,Lazović (2020) John Amos Comenius: The teacher of nations and the founder of didactic principles. ხელმისაწვდომია საიტზე: https://-www.researchgate.net/publication/347049953_John_Amos_Comenius_The-_teacher_of_nations_and_the_founder_of_didactic_principles

Meyer (1903) R. M. Meyer, R. Laube, Rudolf Hildebrand und seine Schule, *Die Literatur des 19. Jahrhunderts,* Leipzig 1903;

Martirano (1997) M. Martirano, Religion, Kulturgeschichte und moralisches Urteil in der Geschichtsauffassung Friedrich Christoph Schlossers, in «Geschichte und Gegenwart», 16 (1997) 4;

Каптерев (1901) П. Ф. Каптерев. Аристократия ума в школе и в жизни, журнал Образование. 1901. № 2. С. 65-84; № 3. С. 136-146; № 4. С. 1-9;

Каптерев (1982) П. Ф. Каптерев. Избранные педагогические сочинения, Под ред. А. М. Арсеньева. - Москва, издательство „Педагогика“;

Коджаспирова (2003) Г. М. Коджаспирова. История образования и педагогической мысли: таблицы, схемы, опорные конспекты.,2003.- С.138.

Лейтесс (1998) Н. С. Лейтесс. П. Ф. Каптерев как психолог детства, (К 150-летию со дня рождения),http://www.voppsy.ru/journals_all/issues/1998/984/98-4084.htm (ბოლო ნახვა 2024 წლის 13 ოქტომბერი);

Словарь (1991) Философский словарь. Под ред. И.Т. Фролова. Москва, Издательство Политиздат;

Харламов (1999) Харламов И.Ф. Педагогика. Москва, издательство, Гардарики, 1999, https://www.p-lib.ru/pedagogika/harlamov/harlamov40.html.